ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №405934

ნომერი: AR186329

თარიღი : 14.10.2012

გაცემის თარიღი : 25.10.2012

გაცნობის თარიღი : 25.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის Iკვ.კორპ.N3-ის მიმდ. / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ N3-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ. N2-ის მიმდებარედ ნაკვ.05/007;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა აღლემაშვილი პ/ნ 47001009393
- ვაზისუბანი 3 მ/რ, 1 კვ, 2 კორპ ბინა #119

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისისმერიისსსიპ– თბილისისარქიტექტურისსამსახურის2012 წლის06 იანვრის#11 სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 24 ოქტომბერს #AR186329 განცხადებით მომართა მოქ. კობა აღლემაშვილმა და მოითხოვა 06.01.2012წ. #11 სამშენებლოდ მიწია ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპრეოქტო მიწის ნაკვეთის ფართობის, კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2012 წლის 06 იანავარს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ვაზისუბნის პირველ კვარტალში, კორპუსი #3–ის მიმდებარედ და ვაზისუბანის IIIმ/რ. Iკვარტ. კორპ. #3–ის მიმდებარედ (ნაკვ. #005/006)–ზე მრავალფუნქციური ობიექტის ასაშენებლად გაიცა #11 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონაა სარეკრეაცია ზონა 2 (რზ–2), რომელშიდაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართის თანხამდ სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ზემოაღნიშნული საპროექტო ობიექტის განთავსება. საკითხი სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის დროს განხილულ იქნა ქ. თბილისის მერიის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე და საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 2254 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.17.07.005.006. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთსი ფართობი და დღეის მდგომარეობით შედგენს 2327 კვ.მ.–ს, საკადასტრო კოდით: 01.17.07.005.008. მიწის ნაკვეთზე მოქმედი ფუნქციური ზონა არის ისევ სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) და შესაბამისად საკითხი, სპეციალური ზონალური ნებართვის მიღების მიზნით, განხილულ იქნა ქ. თბილისის მერიის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #11 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 2327 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს №01.17.07.005.008.;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #11 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012407867; ამონაწერის მომზადების თარიღი: 02/08/2012წ.; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 31.07.12წ; საკადასტრო კოდი: 01.17.07.005.008);
3. დაცული იქნას 01.17.07.005.008 საკადასტრო გეგმაზე დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზი;
4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #11 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.